2024-2025 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

შესრულების მონიტორინგი/შუალედური ანგარიში

მიმდინარე ანგარიშით წარმოგიდგენთ იმ მონიტორინგის შედეგებს, რაც გამოვლინდა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ამოცანების/აქტივობების განხორციელების გადამოწმების ფარგლებში, თუ რა აქტივობებია დღეისათვის შესრულებული ან შესრულების პროცესში, რომელი მათგანი შესრულდა/ვერ შესრულდა გეგმით გაწერილი დროის შუალედში; მონიტორინგის ფარგლებში, შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს მათ მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულების შესახებ ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე ანგარიშები, მტკიცებულებებზე მითითებით. ჩემი წინამდებარე შუალედური ანგარიში ეყრდნობა როგორც მათ მიერ წარმოდგენილ და მითითებულ მტკიცებულებათა გადამოწმებას, ინტერვიუს შედეგებს, აგრეთვე, მიმდინარეობის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგს, თუ რა აქტივობებით დაიწყო, შესრულდა ან/და შესრულების პროცესშია ესა თუ ის ამოცანა.

დასაქმების ბაზარზე ახალი მოთხოვნების გამოვლენის ფარგლებში გაწერილი არის სამი ამოცანა, რომელთაგან გამომდინარე კოლეჯში არსებული პროგრამები კვლავ მოთხოვნად პროფესიებად რჩება შრომის ბაზარზე, რასაც მოწმობს კურსდამთავრებულთაგან მიღებული უკუკავშირი; სასწავლო პროცესის მენეჯერისა და აგრეთვე, ჩემი მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ფარგლებში, დაწესებულება კვლავაც მოლოდინის რეჟიმშია თუ რა ახალი პროფესული საგანმანათლებლო პროგრამები იქნება დამტკიცებული პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, რომლებიც იქნება პრიორიტეტული კოლეჯისათვის, რათა დაიმატოს. როგორც ცნობილია, იგეგმება ისეთი ახალი პროფესიული პროგრამების დამტკიცება, რომლებიც მისაღები იქნება პროფილური კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის, საქართველოს კარიტასის ინიციატივით მოეწყო გასვლითი შეხვედრა, რომელშიც ჩართული ვიყავი მე პირადად და აგრეთვე, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც არის საექთნო განათლების პროგრამაზე მოდულის განმახორციელებელი პირიც; გასვლითი შეხვედრის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული თუ რა აუცილებელი და საჭირო ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს საექთნო განათლების მეხუთე დონის

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში; შემუშავდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიეწოდება შესაბამის ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრამებში ცვლილებების შეტანაზე/დამტკიცებაზე. გარდა ამისა, კოლეჯიდან მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის კითხვარების დაგზავნა, ინტერვიუირება და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება პროგრამათა შემდგომი განვითარების მიზნით. რაც შეეხება დაწესებულების კატალოგს, იგი განახლებული სახით განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე, რაც გადამოწმდა ჩემს მიერ.

სტრატეგიული მიზნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით გაწერილია შემდგომი ამოცანა, ესაა პროგესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება; გაწერილი გეგმის მიხედვით, ამ ეტაპზე შესრულებული უნდა იყოს აქტივობა - ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საჭიროების გამოვლენა, როგორც წინა აქტივობების ფარგლებში გავუსვი ხაზი, განვმეორდები, რომ ამ დროისათვის კვლავ მიმდინარეობს არსებული ჩარჩო დოკუმენტების განახლება და ახლების დამტკიცება, ამ ეტაპზე დამტკიცებული პროგრამების სიაში ჯერჯერობით არ არის ისინი, რომელთა დამატებაც დაწესებულებისთვის პრიორიტეტულია და კვლავ ვრჩებით მოლოდინის რეჟიმში, საჭიროება კი დამდგარია კოლეჯის მდგრადობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით.

სწავლა/სწავლების არსებული მეთოდების გაუმჯობესების მიზნით - მონიტორინგის ფარგლებში პირისპირი სწავლების დროს ვახორციელებდი სხვადასხვა სალექციო მეცადინეობებზე დასწრებას და დაკვირვებას თუ რამდენად ეფექტურია პირისპირი სწავლება. მიმდინარე სასწავლო წელს დაიშვა შესაძლებლობა და დამტკიცდა მინისტრის მიერ დაწესებულებებისათვის ონლაინ რეჟიმში ლექციების განხორციელებისა, რომლის დროს კოლეჯი გარკვეულ წესებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ ეტაპისათვის, როგორც გამოკითხულ პირთაგან (მასწავლებლების, სტუდენტების), აგრეთვე განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პირისპირ სწავლების რეჟიმი პრიორიტეტულია, თუმცა დაწესებულება მუშაობს, რათა სამომავლოდ იყოს შესაძლებლობა არჩევანისა, ონლაინი/ჰიბრიდული თუ პირისპირი სწავლებიდან აირჩიოს პირმა კოლეჯში მისთვის უპირატესი ფორმატი. პრაქტიკული მიმართულებით დაწესებულების მიერ განვლილ სასწავლო წელს დაწყებული პრაქტიკა - ჩანაწერების ჟურნალების წარმოება მიმდინარე წლისათვისაც წარმატებით ხორციელდება და სტუდენტები თითოეული პრაქტიკული სწავლების ფარგლებში ავსებენ მათ, რომლებიც წარმოდგენილია მოდულის დასრულების შემდგომ კოლეჯში და ინახება მათ პორტფელიოებში.

ადამიანური რესურსის მართვის მექანიზმის გაუმჯობესების ფარგლებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები; მიმდინარე პერიოდისათვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით საკმაოდ წარმატებით სრულდება ადამიანური რესურსის განახლება/შევსება, მდგრადობის შენარჩუნება. საქმისწარმოებისა და ადამიანური

რესურსების მართვის მენეჯერის ანგარიშის მიხედვით, ასევე ჩემი მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებებისა და სხვადასხვა კადრების აყვანის შედეგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობლად გაიზარდა განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, დასაქმდნენ მაღალკვალიფიციური კანდიდატები, რომლებიც უკვე ახორციელებენ სწავლებას ჯგუფებში. გარდა ამისა, ადმინისტრაციული კუთხით გაზრდილია შრომის ანაზღაურებები, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მდგრადობის შენარჩუნებას და კადრების გადინებას შეამცირებს. საერთო ჯამში, დაწესებულებაში შენარჩუნებულია მდგრადობა ადამიანური რესურსების მიმართულებით, თითოეულ თეორიულ მოდულზე განმახორციელებელ პირად შერჩეულია მინიმუმ ორი ადამიანი; პრაქტიკულზე საექთნო განათლების კუთხით 7 სტუდენტზე მინიმუმ 1 განმახორციელებელი პირი მოდის. ახალ თანამშრომლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები და მოწესრიგებულია მათი პირადი საქმეები.

ადამიანური რესურსის მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - კოლეჯის ხელშეწყობით მოხდა თანამშრომელთა ჩართვა ტრენინგების ციკლში, რომელიც განხორციელდა კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით. პირველ ეტაპზე განხილული იქნა ავტორიზაციის პირველი სტანდარტი, პროცესში ჩართული იყვნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები. ასევე, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დაწესებულების თანამშრომლები. კოლეჯის დაფინანსებით მოხდა არა მხოლოდ ადმინისტრაციის წევრების, არამედ განმახორციელებელ პირთა, პრქტიკის ინსტრუქტორთა ჩართვა ექთნების პირველ საერთაშორისო კონგრესში, რომლისგან მიღებული გამოცდილებაც, რა თქმა უნდა, ხელშემწყობია თითოეული მათგანის პროფესიული ზრდისათვის. როგორც ვხედავთ, ადამიანური რესურსის განვითარება უზრუნველყოფილია როგორც გარე წყაროების მხარდაჭერით ორგანიზებულ ღონისძიებებში მათი ჩართვით, აგრეთვე, კოლეჯის ინიციატივითა და ხარჯებით განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობით. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება/განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდა გამოკითხვა, რომლისაგან მიღებული უკუკავშირითაც იდენტიფიცირებულია ამ ეტაპზე რა სახის ტრენინგია საჭირო რომ განხორციელდეს. როგორც საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ანგარიშიდან ირკვევა, მიმდინარეობს საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, რათა თებერვლის თვისათვის განხორციელდეს ტრენინგი მიღებულ უკუკავშირის შედეგებზე დაყრდნობით გათვალისწინებულ თემაზე. თითოეული პირი მუდამ გამოთქვამს მზადყოფნას სხვადასხვა ტრენინგებით აიმაღლონ კვალიფიკაცია, ჩაერთონ მსგავს პროცესში და ფეხი აუწყონ სიახლეებს. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ინიციატივითა და დაფინანსებით იანვრის თვეში მოეწყო კორპორატიული ღონისძიება, საიდანაც მიღებული კმაყოფილება ძალიან მაღალია, რასაც თითოეული პირი გამოხატავდა პირად კომუნიკაციაში თუ სოციალურ ქსელებში.

ინფორმაციული საკომუნიკაციო არხების შექმნა და მუდმივი განახლება - დაწესებულების ვებ-გვერდზე მუდმივად იდება ინფორმაცია კოლეჯში არსებული აქტივობების, დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ, აგრეთვე აქტიურია დაწესებულების ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. მიმდინარე წელს მოხდა კოლეჯის ფეისბუქ გვერდის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ფუნქციონალურად მისი გამართვა, საკომუნიკაციო არხებიდან დაემატა instagram გვერდიც, რომელზეც ასევე თავსდება სხვადასხვა საინტერესო სიახლე. გააქტიურებულია აუდიტორია, რაც აისახება განთავსებულ სიახლეებზე მიღებული უკუკავშირით. დაწესებულების დოკუმენტაციაში ცვლილებების გატარების შემდგომ საიტზე განთავსებულია განახლებული ვერსიები.

სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის განახლების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, პროფ. სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინებით ამოცანის შესრულების მხრივ მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მათი გამოკითხვა და მათგან უკუკავშირის მიღება. სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის განახლების მიმართულებით დაემატა და გაუმჯობესდა კომპიუტერები, განახლდა ინტერნეტ რესურსი და გაიზარდა ინტერნეტის სიჩქარის დონე.

ახალი პროფესიული სტუდენტებისათვის, როგორც საგაზაფხულო, აგრეთვე საშემოდგომო მიღებების ფარგლებში მოხდა მათთვის IT მენეჯერის მიერ საჭირო საკომუნიკაციო არხების გაცნობა, მათთან მარტივად საკომუნიკაციოდ კი messenjer ჯგუფების გაკეთება/გაწევრიანება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ინიციატივით, სადაც ხდება საჭირო ინფორმაციის, სიახლის, სასწავლო რესურსის მარტივად გაზიარება. კოლეჯისაგან შექმნილია დახურული ჯგუფი, სადაც გაწევრიანებული არიან როგორც აქტიური სტუდენტები, აგრეთვე კურსდამთავრებულები, რომლებსაც აქედან ეგზავნებათ არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდიან პარტნიორი (და არა მხოლოდ) ორგანიზაციები, აღნიშნულ გჯუფში მოხდა ახალი სტუდენტების გაწევრიანებაც.

პროფ. სტუდენტებისთვის ექსტრაკურიკულარული აქტივობების განხორციელების მხრივ ისინი ინფორმირებულნი არიან კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ, რომ დაწესებულების მხრიდან მხარდაჭერილი იქნება სხვადასხვა სახის ინიციატივები. ამ დროისათვის მომართვიანობა ნაკლებია, რა მიმართულებითაც საჭიროა აქტიურობის გაზრდა. კარიერული წინსვლა მუდმივად ხელშეწყობილია. კოლეჯს სხვადასხვა ორგანიზაციები, პოტენციური დამსაქმებლები უკავშირდებიან მათთან არსებული ვაკანსიების შესახებ კადრების მოძიების მზნით, რა ინფორმაციაც დაუყოვნებლივ ეწოდებათ კურსდამთავრებულებს, აგრეთვე სტუდენტებს. რაც შეეხება სტუდენტურ ღონისძიებებს, ამ დროისათვის აღსანიშნავია, რომ ახალი მიღებების ფარგლებში სხვადასხვა საჩუქრებით მოხდა სტუდენტთა დახვედრა და

მოეწყო შესაბამისად ორგანიზებული გაცნობითი შეხვედრა. კურსდამთავრებულთათვის დაწესებულების ხარჯებით მოხდა ე.წ. „მანტიების“ შეკერვა/გამზადება, რომელზეც აღბეჭდილია დაწესებულების ლოგი, მოეწყო მათთვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალი. ყოველივე ამ აქტივობებთან დაკავშირებული ფოტო მასალები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში.

საბიბლიოთეკო ფონდი ამ ეტაპისთვბის არ განახლებულა, ვინაიდან შევსებული იყო არსებული პროგრამების ფარგლებში საჭირო სასწავლო რესურსით.

პროფორიენტაციის მექანიზმების განვითრება, აბიტურიენტთა მოზიდვის მექანიზმების შექმნა (ღია კარის დღეები; ვიზიტები სკოლაში; კამპანია მასმედიის მეშვეობით) - აღნიშნული ამოცანის ფარგლებში გასვლითი ან/და ადგილზე განხორციელებული შეხვედრები დამამთავრებელი კლასის სკოლის მოსწავლეებთან ამ ეტაპზე ჯერ არ განხორციელებულა, აღნიშნული აქტივობის ჩატარება უფრო პრიორიტეტულია ახალი მიღებების გამოცხადების დროს, რათა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ, თუმცა დასაშვებია სასწავლო წლის ნებისმიერ ეტაპზეც განხორციელდეს. აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით წინა წელს განხორციელდა მიღებების რეკლამირება facebook სოციალური არხის საშუალებით, რისი შედეგიც მეტყველებს მიღებულ პირთა რაოდენობებზეს. კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან ინფორმაციის მასობრივი საშუალებების, მათ შორის ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის მეშვეობით აქტიურად მიმდინარეობს, დაწესებულების ელექტრონულ ფოსტასა თუ სოციალურ ქსელებში შემოსულ შეტყობინებებზე ხდება დაუყოვნებლივ პასუხის გაცემა მათთვის საინტერესო თემებთან დაკავშირებით, რომელიც კავშირში დაწესებულების საქმიანობასთან. კოლეჯში მანამდე განხორციელებული სარეკლამო კამპანიის შედეგად ორივე მიღების ფარგლებში მოხდა რეკორდულად მაღალი სტუდენტების მიღება, ფარმაციის პროგრამაზე შევსილი ქვოტიდან გამომდინარე ვეღარ გამოცხადდა საშემოდგომო მიღება.

რაც შეეხება საერთაშორისო თუ შიდა დონეზე პარტნიორთა წრის გაფართოებას, ამ დროისათვის აღნიშნული მიმართულებით ცვლილება არ გვაქვს.

საერთო ჯამში, პასუხისმგებელ პირთაგან მიღებული ანგარიშების, გამოკითხულ პირთა უკუკავშრის, არსებული მტკიცებულებებისა და განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ ერთწლიანი სამოქმედო გაგმით გაწერილი აქტივობებიდან ამ ეტაპისათვის რაც უნდა შესრულებულიყო, უმეტესი მათგანი წარმატებით განხორციელდა ან დაწყებულია პროცესები, არსებობს ამოცანები, რომლებიც ჯერჯერობით არ შესრულებულა და რეკომენდირებულია ამ მიმართულებით გაიზარდოს შესაბამის პასუხისმგებელ პირთა მუშაობა. ვფიქრობ, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გეგმით გაწერილი ამოცანების უმეტესი ნაწილი იქნება შესრულებული პასუხისმგებელ და აქტივობებში ჩართულ პირთა მიერ მათი

მონდომებისა და სამუშაოების გაძლიერების შედეგად, უნდა იყოს ამბიცია იმისა, რომ გაწერილი მინიმუმის გადაჭარბებაც მოხდეს და იმაზე მეტი ოდენობის სასწავლო/ექსტრაკურიკულური ღონისძიება განხორციელდეს, ვიდრე დაგეგმილი იყო, რისი შესაძლებლობაც კოლეჯს აქვს.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი: თ. ჭუმბაძე

04.02.2024